საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 24 მაისი, 2023 წელი

დრო: 20:00 - 22:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემი თბილისი
4. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
5. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
6. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
7. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
8. ირმა პავლიაშვილი - ღია სივრცე კავკასია
9. ანდრო ნიკოლაიშვილი - სამანი

განსახილველი საკითხები:

- მიმდინარე საკითხები მედიასთან დაკავშირებით

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.
საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე, განიხილეს რიგით მე-7 პრიორიტეტი, რომელიც შეეხება მედია გარემოს საქართველოში და ის დასკვნა, რომელიც მიიღო ქართულმა მხარემ. რეალურად, დასკვნაში ცალსახადაა ნათქვამი, რომ ამ მიმართულებით პროგრესი არ აღინიშნება და ამ მომენტისთვის რეკომენდაციების ეს პუნქტი შეუსრულებელია. შეხვედრაზე, ეროვნულმა კოორდინატორმა, ისაუბრა არსებულ საკანონმებლო ბაზაზე. პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ რა მძიმე და პრობლემური ვითარებაა მედიის შესახებ არსებულ კანონმდებლობაში.
ჯერ კიდევ, 2015 წელს, პლატფორმის მიერ, შემუშავებული იყო პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ასახავდა იმ რეალურ პრობლემებსა და გამოწვევებს, რომელიც გაჩნდა კანონმდებლობაში და აცდენილი იყო აუდიო-ვიზუალური მედიის დირექტივებსა და ევროპულ სტანდარტებს. ევროსაბჭოსმ აპრილში გამოაგზავნა დასკვნა, რომლის შესავალ ნაწილში პირდაპირ წერია, რომ საქართველო კი არ დაუახლოვდა ევროპულ სტანდარტებს, არამედ პირიქით მიიღო ისეთი კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპულ სტანდარტებს. დასკვნის მუხლობრივი ნაწილში დეტალურადაა შეფასებული კანონში არსებული ხარვეზები და უნდა აღინიშნოს, რომ მედიის საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების რეკომენდაციები და დასკვნები სრულად არის გაზიარებული ევროსაბჭოს მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში. ნათია კუპრაშვილმა დეტალურად მიმოიხილა დღეს არსებული საკანონმდებლო ბაზა და ისაუბრა იმ ცვლილებების აუცილებლობაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს კანონმდებლობაში, იმისათვის რომ პოზიტიური ცვლილებები განხორციელდეს და შესაბამისობაში მოვიდეს საკანონმდებლო ბაზა ევროპულ სტანდარტებთან.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე